

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-61/ნ – №274

2019 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ,
რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების
გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ – №5 ერთობლივ ბრძანებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
საფუძველზე, ვბრძანებთ:

მუხლი 1

„ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ,
რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების
გადასახადისაგან“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 იანვრის №2/ნ-№5 ერთობლივ ბრძანებაში
(www.matsne.gov.ge, 060111, 06/01/2011; 470230000.22.035.016039) შეტანილ იქნეს ცვლილება და
ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა
მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან)
შენიშვნის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს მწარმოებლის
წერილობითი დასტური, რომ საქონელი წარმოადგენს ამინომჟავის ფორმულაზე დამზადებულ
ჰიპოალერგიულ საკვებს ან რძის ცილის ინტენსიური ჰიდროლიზის შედეგად მიღებულ საკვებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან
წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

ივანე მაჭავარიანი

